სიამბორე

დავით მაისურაძე

დავით მაისურაძე

სიამბორე

თბილისი
2013

ავტორი: დათო მაისურაძე
რედაქტორი: დარეჯან ოქრუაშვილი

ISBN 978-9941-0-5611-6

თბილისი, 2013

რედაქტორისაგან

როცა შენს თვალწინ იზრდება ბიჭი და ყოველ-დღე თუ არა კვირაში რამოდენიმეჯერ მაინც ხვდე-ბი. იცი მისი ცხოვრების ისტორია, გულგრილად ვერ შეხვდები მისი სევდანარევი თვალების სითბოს, რომელიც თბილი მისალმებითა და ზრდილობიანი მოკითხვით მთავრდება. ვერც წარმოიდგენ, რომ ეს პატარა ბავშვი უკვე გაიზარდა და ერთ მშვენ-იერ დღეს, თავის ლექსებს გამოიტანს სამზეოზე. მოგიყვება სიყვარულზე, ტკივილზე, გაგრძნობინებს რომ უკვე დიდია და მისი ცხოვრება ლექსებშია თავ-მოყრილი.

და მაინც, სიურპრიზი იყო ჩემთვის ბავშვობიდან ნაცნობი დავით მაისურაძის აღმოჩენა როგორც პოეტისა, რომელიც არამარტო წერს, არამედ თი-თოეულ ფრაზას კითხულობს ისე ღრმად და შინაგანი მღელვარებით, რომ უნებურად ცრემლი გერევა და ფიქრობ, ნუთუ ბოლნელების სათაყვანებელ ქარ-თულ მიწას მართლაც ისეთი ძალა აქვს, რომ ასეთი ლამაზად ნამღერი ფრაზები შეიცნონ და გადმოგვ-ცენ ამ ახალგაზრდებმა. დავითის ლექსებში იგრძნო-ბა ფეთქვა გულისა, სულს რომ გიშფოთებს. ამაყობს თავისი ბოლნისითა და რაჭით, საიდანაც არის მისი წინაპარი. მადლობელია დედის, რომელმაც ფეხზე დააყენა ობოლი ბიჭი და ორმაგი მზრუნელობა იტ-ვირთა. წუხს სამშობლოზე და ნატრობს მის ერ-

თიანობას. მისი ოცნებაა მოილოცოს ყველა ტაძარი რაც საქართველოშია და რუდუნებით შეავლოს ხელი წინაპრებისაგან დანატოვარ ხელი-ხელ საგოგმანებ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას.

დავითი აღნიშნავს, რომ ეს წიგნი გზავნილია ერისათვის,რომელსაც ,,სიამბორე'' უწოდა: ,,ამ წიგ-ნით მინდა არა პოპულარულობა, არამედ ვუთხრა ხალხს რომ აკეთონ რაც უყვართ და არ შერცხ-ვეთ საკუთარი თავის. მე ლექსებში გადმოვეცი ჩემი ტკივილი და სიხარული. ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია ამის გაკეთება. მადლობა ბოლნისს, რომ გამზარდა და დედას რომელმაც სულით ხორცამდე შემაყვარა საქართველო''. ასე ფიქრობს დავითი და მკითხველს ანდობს თავის ნაფიქრალის შეფასებას, რაც თამამი ნაბიჯია ახალგაზრდა პოეტისათვის. დიდი იმედი მაქვს, რომ დავით მაისურაძის ,,სიამ-ბორე'' დანიშნულებას არ დაკარგავს და ბოლომდე იტყვის სათქმელს მის შემოქმედებაში. ჩემის აზრით კი, ეს პატარა ბიჭი კიდევ მალავს ბევრ საიდუმლოს, რომელსაც მალე გაგვიმხელს როგორც ლექსებს ,,სიამბორე''-დან.

დარეჯან ოქრუაშვილი

***

ადმიანი დაბადებულა არა იმისთვის,
რომ იფქროს ერთზე...
ამოიქოლოს ფართე სტომაქი,
იძინოს ნეხვზე!
და დაითვალოს ჭრელი ბუზები მოლიპულ ჭერზე!

***

ღმერთმა ქვეყანას მომგვარა,
ბოროტ თვალს ჩხირი ვწიეო...
ოქროს ჭაბუკი შემარქვეს,
აკვნის არტახი წიესო...

ბოროტმა მაინც თავის ჰქნა,
მამა მიწისკენ წიესო...
ცრემლით მორწყულსა მიწაზედ,
ვარდებმა კვირტი წიესო...

ამასობაში წამოვჯექ,
მუხლებმა ბრუნვა იწყესო...
ამიმოძრავდა პირ-ბაგე,
სიტყვებმა ენა აქნიესო...

დედის ალერსმა გამზარდა,
გავმხდარვარ უკვე ჭაბუკი...
ცხოვრების გზაზე შემაგდო,
მომცა წინ გზა და სავალი...

ცხოვრებამ ბევრიც შემძინა,
ბევრიც წამართვა მრავალი...
მწუხრის დღეებიც მითენა,
გულიდან გადანავარდნი...

ვცდილობ ვეწიო ცხოვრებას,
დავძლიო ბნელი დღეები...
თავზე ნათელი დავიდგა,
ვახარო ჩემი ფესვები...

რა არის ჩემი სიცოცხლე,
ერთი უბრალო ფანდია...
რისთვის მოვსულვარ ამქვეყნად,
ჩემს თავზე მხოლოდ დარდია...

***

ჩემზე მოგონებებს ვინმე შეინახავს,
ალბათ შეინახავ შენც!
ღამეს სიზმრებიდან
ოცნებას გადავუშლი და იქ იქნები, შენც...

***

კაცი მიმჯდარა ხის ძირს და ფიქრობს,
რომ ამ ზამთარში რა მაგრად ითოვს...
ვიღაცა, რაღაცას რა უშნოდ ითხოვს,
ვიღაცა ბუხართან სველ თითებს ითბობს...
ვიღაცა, შიმშილის წამალსაც ითხოვს.
ვიღაცა სიზმარში ტაქსისაც ითხოვს,
რადგან ტაქსისტი ცხადში ფულს...
ვიღაცა გაჰკივის და შველას ითხოვს!
მაგრამ მშველელიც რომ შველას ითხოვს?!
ვიღაცა მათთვის ტელეფონს ითხოვს,
მაგრამ ყურმილსაც, რომ არავინ გითმობს?
ვიღაცა რაღაცას ვიღაცას აძლევს,
რადგან იმანაც იგივე გასცეს...
ყველა თავისთვის ცალკე ჩალიჩობს,
მეკი შორს ბნელში, ჩემთვის ვშაირობ....

***

ოდესღაც ერთობ გადარეული,
დავდივარ ტყეში გზა აბნეული....
თავზე დამნათის მთვარე ნათელი
და გზას მინათებს მთვარე ნათელი.
რაღაც გუგუნებს, რაღაც დუდუნებს,
თითქო რაღაც აქვთ ჩემთვის სათქმელი...
ვხედავ ბნელ გვირაბს, შიგ რაღაც ბრდღვინავს!
ისე საშინლად თვით სულსაც ჰყინავს...
უეცრად ტყეში დაბნელდა არე
და დაიკარგა წყვდიადში მთვარე...
სანთელი იწვის, სათქმელად მიჭირს,
თუ რა ძნელია გადადგმა ბიჯის,
თან ამ ყოველის აღწერაც მიჭირს...

***

ფოთოლცვენის საღამოს, ქარი
გაშლის ხმელ აფრას,
რაღაც მეჩურჩულება
და არ არის თანახმა.
რომ გავანდო ფიქრები,
ფოთოლცვენას ხანდახან...
დარდის ფარდას გადაჰფენს,
დროს სამოთხის წყურვილი.
მე მეგონა მოვკვდები,
მაგრამ ისევ აქა ვარ,
მაგრამ ისევ თქვენთან ვარ...
უფალს გამოვეთხოვე.
გამოვყევი გრიგალებს,
და ტოტებში გამხლართა
და ტოტებში გამხლართა,
დამამსგავსა ხმელ ფოთოლს.
სიცოცხლისთვის, რომ იბრძვის,
სიცოცხლისთვის, რომ იბრძვის...

***

მინდა გიამბოთ ჩემს გულში რა დევს,
ის რაღაც ჩემში სიყვარულს ბადებს....
მინდა მოგითხროთ ჩემი ლექსები,
რომ მოვიკიდო წყალშიც ფესვები...
მინდა მოვპარო ცხოვრებას წუთი,
რომ შემოვლობო ქვეყანა წნულით
და არ მივუშვა ჭია და ბუზი...
მინდა ავაგო მოძრავი კიბე,
რომელსაც არ აქვს ბოლო და კიდე,
მინდა, რომ ავყვე ღრუბლებსაც ცაში
და გავაბნიო ეს სევდა ქარში.
მინდა, რომ შევდგე უმაღლეს მთებზე,
და გადმოვძახო ქვეყანას, წამოდექ ფეხზე!

***

ცის კაბადონზე მთათა კაპელას,
თავზე დაადგამს მზე სხივის გვირგვინს
ვიწრო ხევებში, შავი ჩადრებით,
ჩამოიქროლებს მდუმარე ბინდი.
მაღლა ღრუბლებში ირაოს შეკრავს,
ბებერ არწივის, მოქნილი ფრთები...
წვიმა მოვა და ამბავს მოგვითხრობს,
წარსულის ხმებით, წარსულის ხმებით,
წვიმის წვეთები ცელქი ბავშვივით,
მუხის ტოტებზე ჩამოირბენენ,
დაბლა ბალახზე გაირთხმება და
ნაკადულს შექმნის, მწვანე ბორცვებზე....
თეთრწვერა კაცი შავი ნაბდის ქვეშ,
გამოხვეულა, თან მოხვევია გარშემო ფარა..
კლდეზე მხტომარე, ცელქი ჯიხვების,
რქების ჭახუნი, მარად და მარად, მარად და მარად!

***

დროის ქარი, საათს წამებს უწეწავდა,
მარტოობა კი, სავარძელში ჩამჯდარიყო
და ნაღვლიანი თვალებით, გულის სარკმლიდან,
მთვარეს გაჰყურებდა.
ჩრდილები, თითქო და მთვრალებიო,
ქუჩას კედელკედელ მიჰყვებოდნენ...
იქვე ქუჩის ბოლოს, ლამპიონი, თითქოს წესრიგს
ამყარებსო.
ხის ძირას მისძინებოდა და ამ პატარა ქალაქს, ერქვა!
lon-jon-Fijer-aldi



(ეძღვნება ანა-მარია იმედაშვილს)
23. 07. 2009

შენ ყვავილი ხარ, ის ყვავილი, რომელიც ბუნებამ მხოლოდ სიყვარულისა და სილამაზისთვის მოავლინა ქვეყნად და შემკულია, იმ საუცხოო ფერებით, რომელიც არასოდეს არ მინახავს დედამიწის ზურგზე. რომელსაც სხვისი სიყვარული შეუძლია. შეუძლია, თავის სურნელით გააბრუოს, ერთი სადღაც მიმავალი გამწარებული, შემთხვევით ჩაწუებული ფუტკარიც კი, მაგრამ ხალხი ბრმაა, იმიტო რომ ისე დგამენ თავიანთ მახინჯ, მუტანტ ფეხს, რომ არ იყურებიან წინ, ვერ ამჩნევენ იმ ანგელოზს, რომელიც მოავლინა უფალმა შენი სახით ქვეყნად. ისინი, სანამ თვითონ არ ნახავენ იმ სიმწარეს, რაც თავიანთი წინდაუხედაობით მოგაყენეს შენ, მანამდე ვერ გაახელენ თვალს და ვერ დააფასებენ იმ სილამაზეს, რომელიც გაგაჩნია. ბედნიერი ხარ იმით, რაც გაგაჩნია და რაც ხარ.

იყავი ის რაც ხარ, იცხოვრე იმ სილამაზით, რაც გაგაჩნია, ვაფასებ მე ამას შენში...

***

სიყვარული საუკუნო სამოთხეა,
სადაც, სიამოვნებით სეირნობენ,
სიყვარულით სნეულები...

***

,,ალექსანდრე ჩლაძეს''
გადაჰყოლიხარ ჩემო ძმაო ცხოვრების წყლულებს,
გვერდს მოგდგომიან ეშმაკის თვალნი,
ცაზე მოხატულ ვარსკვლავთა მგვანნი...
ვაი მიჯნურო, რომ ვერ ხვდება ქვის გული ქალის,
თუ ამ მკერდს შიგნით რა ზის...
ერთ წუთს იყუჩეთ, უსმინეთ გარბის, ცხოვრება გადის,
და ეს იცოდეთ, რომ ყველასთვის მოვა, სამაისოდ წითელი ვარდი!

***

08.10.12

შენს მონატრებას, ახლა წვიმის წვეთებით ვივსებ,
ცელქი ბავშვივით, გუბეში ხელებს ვიბან,
თითქოს ავამღვრევ და შენს სახეს დავინახავ,
მაგრამ წვიმის წვეთი მხოლოდ მასველებს
და იმ ცრემლებს მაგონებს,
რომელიც ბოლო შეხვედრისას, პეშვით მოგიწმინდე...
მე შენ მიყვარხარ და გთხოვ გახდი ჩემი,
თორემ მე მოვკვდები, ნისლებით სავსე
ფოთოლცვენაში,
და უფალთან მისული, მხოლოდ შენს სახელს ვიტყვი,
რადგან სამსჯავროზე ბოლომდე დავისაჯო,
როგორც სიყვარულით, რაც შენ მე მაჩუქე,
ჩემო ციცქნატელა გულის წვიმის წვეთო...

***

08.10.12

ვიცი, ეს შენც გინდა, გინდა მიპასუხო,
მაგრამ როცა კალამს იღებ, ხელი კანკალს იწყებს...
ვიცი შენს გულში მონატრება სევდამ აავსო
და გინდა მიპასუხო, თუნდაც გამლანძღო
და მრავალჯერ მითხრა, რომ აღარ გიყვარვარ,
მაგრამ წარსულის ამონახატი, კვლავ ჩვენს წინ დევს
და იმას მონატრება ჰქვია, ოღონდ სიყვარულის,
რომელსაც ვუძღვნიდით სიტყვას მიყვარხარო!
ოღონდ სამუდამოდ!

***

20.11.12

საუკუნე ხარ ას სამოცდა მეთერთმეტე,
მიწურული მეექვსე თვის,
მონატრება წელიწადის,
ფიფქები ხარ ივნისის თვის,
სამ რიცხვში რომ გადმოთოვდი
და ჩამადნი ხელის გულზე.
ნოემბრამდე შეგინახე,
კვირის ბოლოს გეგუნდავე,
მომენატე ამ გუნდებით...
თითებიც კი გაგითოშე,
სათითაოდ დაგიკოცნე,
და შუბლზეც კი გეამბორე...
მონატრებით ჩაგიხუტე,
და გულამდის ჩაგიძვრინე,
ყელში სახე ჩაგიდე და
სურნელებაც გამაყოლე, საგზლად....
მაგრამ მხოლოდ შემდეგ ამ თვეს,
კვლავაც ისევ გეგუნდავე,
კვირის ბოლო ხუთშაბათ დღეს!

***

20.11.12

თითოეული შენი თვალის დახამხამება,
გაელვებაა წამის ჩემი და მონატრება
ნაცნობი ღამის მთვარეს რომ ელის,
ღამის ფარდიდან ნაცნობი ხმით რომ მეტყვის,
ისევ მოგელი მოსაფერებლად
ამ თვალ-წამწამ-ბაგის...
მაგრამ დედამიწა ხომ მზეს ვერ შევედრები,
და ერთი ვიცი, მთვარე მზისთვის სცენას არ
გადაივლის,
დედამიწას კი უნათებს მარადისობის ბილიკს
და მინდა გითხრა, მაინც მიყვარხარ ჩემო ფერია,
და ისიც ვიცი შენთვის, მიწა ვარ მტვერი,
დასაჩქმალავი ლეშის და გვამის,
მაგრამ იცოდე შენ ჩემი ხარ, მთვარევ
დედამიწისთვის!

***

01.12.12

დრო დაგიდგება მინატრებ,
ეს მხლოდ მაშინ, როცა მე დაგემალები...
შენს თავზე ღრუბლად ვიქნები,
ზეციდან მოგეფერები...
ხელის გულებზე თეთრ ფიფქებს,
ცრემლებად ჩამოვადნები...
შენი ტუჩების ამბორად,
სხივებად გადმოვარდები...
მარჯვენა მკერდის ძირშიდაც,
ხალადაც გამოგაჩნდები...
ჩაგეკონები გულში და,
სულამდეც ჩაგივარდები...
გაგახსენდები, მიხვდები,
უფალთან ახლოს ვიქნები...
ამომხედავ და მინატრებ,
ზეციდან მოგეფერები...

***

17.12.12

რა დავაშავე? ყველაფერი,
გარდა ერთისა რომ შეგიყვარე...
რა დაგიშავე? სულ ყველაფერი,
თვით სამყაროც რომ შენთვის მინდოდა...
ვისთან შევცოდე? სწორედ იმასთან,
ვინც ჩემს გულში ხატად ესვენა...
რატომ მიყვარხარ სწორედ იმიტო,
რომ შენს გუში ადგილი არა მქონია...
თავსაც ვიმცირებ?!
არა, მე ხომ აღარ ვარ უკვე ამქვეყნად,
სულ ორი დღის წინ, ჩამოვთოვდი,
შენს თავზე ფიფქად...
განა არ გეძებ, სულ ყველგან ციცქნავ,
მაგრამ კვლავ ვიღებ, დარისხვას ღვთისგან...
კვლავ გიკრეფ ვარდებს, თითქოს გიპოვი,
ჩაგიწნი თმაში, გამეპრანჭები,
კეკლუცად ციცქნავ...
შენი თვალები ვიპოვი ნეტავ?

***

21.12.12

მთვარეს, ოცნებების ფერებს ვესესხები,
ღამეს მოგიხატავ, სიზმრებს გავექცევი...
შენზე მონატრებას, ვარსკვლავებს მოვუყვები,
ცისკენ გაგექცევი, მთვარეს ვეფერები...
ღამეს ლექსებიდან სტრიქონს გადავუშლი,
როგორ მენატრები, მასაც მოვუყვები...
მთვარეს ოცნებების ფერებს ვესესხები!
თვალებში ჩაგიხატავ ლოდინს ჰორიზონტის...
ხელებს გაგიშლი და რიჟრაჟს ველოდები,
მინდა ჩაგიხუტო ყურში ჩაგჩურჩულო,
მთვარეს ოცნებების ფერებს ვესესხები!

***

14.02.13

შენს თვალებში მონარნარე ციალი,
გაზაფხულად მელანდება, რატომ?
მაგ ტუჩების მოპარული ამბორი,
იასამნის სურნელებით, მათრობს...
შენს ლამაზ ყელს, ჩავედინე წვეთად,
ჩახუტებაც მოვინდომე, გნატრობ...
მაგ გრძელი თმის მდინარეებს დავყევი,
გამახვია ოცნებებში, მახრჩობს...
ლოთივით ვარ, შევცქერი მე მტევნებს,
აკიდოს რომ ამშვენებს და მადნობს...
შენს თითებში, ჩავებინე ნამად,
გაზაფხულის სურნელებით მთვრალმა,
ღრუბლებისკენ გაგიტაცე მარტომ...

***

მე შენს თვალებზე ვხედავ ნაღველს,
და ვცდილობ, როგორმე გამოგაღიმილო,
მინდა გაჩუქო ვარდის კონა,
რომ გულამოსკვნილმა აღარ იტირო....

აღსარება

თეთრი უდაბნო, ანუ სიჩუმე,
ღმერთმა მომიგო, იცოცხლებ კიდევ...
ფიქრებს დავადე უსაზღვრო ფასი,
გათენებისას ვიხილე მსგავსი:

გარდავიცვალე, მე გახლდით ზეცად,
მუხლებზე მდგარი, ვიყავი ლანდად,
საკუთარ ცოდვით, მხრებ გადაყვლეფილს,
უფალი მადგას, იღიმის მშვიდად...

აჰა, მოკვდავო, შენ ჩემთან მოხველ,
სამსჯავროს წარსდექ, ისევ ცოდვილი,
არ შეასრულე შენ, ჩემი მაინც,
გაანადგურე შენ, ყველა წმინდა,

სახლი აშენე, ზევიდან ქვევით,
აატრიალე წაღმა უკუღმად,
ქარს გაატანე, რაც კი შექმენი ,
რაც გავიმეტე შენთვის სამკვიდროდ...

ძმის სისხლით სველი, ორივე ხელით,
პური მოიმკე, გალეწე კალო,
ვაზი აშენე, დაწურე ღვინო,
მუცლის საგემად, მიიღე თვითონ...

სული გაყიდე, ენდე სატანას,
არც კი დაფიქრდი, რატომ ან ვისგან,
გაგაჩნდა ყოველი, რაც კი მოგეცი,
მიიღე შენად, თავი ჩათვალე სამყაროს ღმერთად...

შვილი მოგეცი, სულის ცხონებად,
ხორცი შევასხი, ვამსგავსე შენს ძმას!
შენ კი გაწირე, აწამე რისთვის?!
სიმართლეს ეძებდი პასუხად მტრისგან...

გოლგოთა აქციე ბრბოს შესაცქერად,
ჯვარზე გააკარ შენივე ხელით,
სისხლის წვეთებით, მორწყე ის მიწა,
რომელიც მოგეცი, ხორცის სავანედ...

იხილე აღდგომა, იწამე თითქოს,
წმინდად ჩათვალე, აღიარება გიჭირდა მაინც,
პასუხს ეძებდი საკუთარ თავში,
ვერ გაერკვიე სიმართლის ცხადში...

აშენე მსოფლიო, ციხე-ქალაქი,
ააყვავე და გამრავლდი, რისთვის?!
ხოცე ბავშვი და ხოცე მოხუცი,
ტირანი აცხოვრე, შენს სულში მაინც...

აჰა, მოკვდავო, შენ ჩემთან მოხველ,
სულის ცხონებას რად ითხოვ ჩემგან?!
მითხარ პასუხი, მე ველი შენგან,
აღქმას სიკეთის ჭეშმარიტისას...

გონს მოსასვლელად, დაგსაჯე ბევრჯერ,
იმდენს გაძლევდი, რაც გეკმარა მისთვის,
რომ სიკეთისთვის, გეშენა ხიდი,
მიგეღო შენად, ჩაგეკრა სულში...

შენთვის დავწერე, მე ათი მცნება,
უნდა გეწამა, გეცოცხლა მისით,
კვლავ დააშავე, წაწყმიდე ყველა,
რაც შენით იყო ქვეყნად შექმნილი...

ახლა კი აქ ხარ, ჩემს წინ მოკვდავო,
ჭეშმარიტს ეძებ რატომღაც გულით,
როცა გიჭირდეს, მაშინ გტკიოდეს,
ეს არსად თქმულა იცი მოკვდავო!

როცა გილხინდეს, მაშინ ივიწყებ,
ყველა სიკეთეს, სხვისგან ნაკეთებს,
ჰმონებ და იბრძვი, სიმდიდრეს იხვეჭ,
იმწამს ივიწყებ რისთვის შეიქმენ...

ანგრევ სხვისას და აშენებ შენსას,
დაუფიქრებლად ბილწავ სიწმინდეთ,
ვერ ხვდები, რომ ერთხელ მოხველ,
და გზა სიკეთისკენ, უნდა იკვლიო...

აღდგა უფალი, დადუმდა წამით,
შემდეგ მომიგო, ნახე მოკვდავო!
ქვეყნად თენდება, შენს სასიკეთოდ,
წადი იშრომე, მიიღე ოფლით...

სხვისი ნურასდროს ნუ შეგშურდება,
რადგან არ იცი ხვალინდელ დღემდე,
მზე რომელ მხარეს წამოგიძღვება,
წადი მოკვდავო და გწამდეს ერთის!
მამა ძისა და სულიწმინდისა!